ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 87

"15" მაისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმები თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის მე-4 მიკრორაიონში, კორპუსი №55-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის №20.500.641 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55, მეორე სართულზე მდებარე ბინა №21ა-ში მდებარე, 20.86 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.060.01.021ა) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე ნატო კალანდარიშვილისათვის (პ/ნ:01027040368) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**